იემენის პრობლემა და დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში

ნინო ბაკურაძე

„სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

პოლიტიკის მეცნიერება(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნ. დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად(ნაშრომის ნაწილი გამოყენებული მაქვს წინა სემესტრში).

ნინო ბაკურაძე

25.06.2021

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია ირან-საუდის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის შეცვლის ფონზე და მათი ქმედებები იემენის სამოქალაქო ომში. ირანიც და საუდის არაბეთიც ახლო აღმოსავლეთში უმნიშვნელოვანეს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორებს წარმოადგენენ და ერთმანეთს ექიშპებიან რეგიონში პირველობისთვის, ამ მეტოქეობის უახლეს მაგალითს კი იემენის სამოქალაქო ომში მათ ჩართულობაში ვხედავთ. ნაშრომში დასმულია შემდეგი საკვლევი კითხვა: რა ინტერესები ამოძრავებთ გარეშე ძალებს(საუდის არაბეთი და ირანი) იემენის კონფლიქტში? კვლევის ჰიპოთეზაა, რომ როგორც საუდის არაბეთს, ირანსაც სურს ლიდერობა იემენის რეგიონში მისი გეოპოლიტიკურ მნიშვნელობიდან გამომდინარე და სწრაფვა რეგიონული ჰეგემონიისკენ. ჰიპოთეზის გასამყარებლად გამოყენებულია ჯონ მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმი, კენეტ უოლცის თავდაცვითი რეალიზმი და ჰანს მორგენთაუს პოლიტიკური რეალიზმის თეორია და ძალთა ბალანსის თეორია. ეს თეორიები შეისწავლიან, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ძალა საერთაშორისო სისტემაში ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს ჰეგემონია რეგიონალურ ან გლობალურ დონეზე.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის წყაროებისა, სამეცნიერო ლიტერატურის, მედია საშუალებებში არსებულ ინფორმაციის დამუშავება-შეჯერებას, ასევე ისტორიული პროცესების ანალიზს. ამ გზით განხორციელებული კვლევის მიზანია იემენის კონფლიქტთან დაკავშირებით ირანისა და საუდის არაბეთის ინტერესების გამოვლენა და მათი დაპირისპირების ზეგავლენა გეოპოლიტიკურ ვითარებასა და რეგიონში ეკონომიკურ სიტუაციაზე.

ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირების კვლევა განსაკუთრებით ფასეულია სამეცნიერო თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ ეს დაპირისპირება წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში ძალთა დისბალანსის არსებობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს და ის სერიოზულ გამოწვევაა რეგიონის უსაფრთხოებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იემენი, საუდის არაბეთი, ირანი, იემენის კრიზისი, სამოქალაქო ომი, რეგიონული ჰეგემონიისკენ სწრაფვა, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

Abstract

The paper examines the Iran-Saudi Conflict of shift power balance in the Middle East and their actions in the Yemeni civil war. Both Iran and Saudi Arabia are the key actors in military, political, and economic factors in the Middle East as they are vying with each other for supremacy in the region. The most recent example of this rivalry is their involvement in the Yemeni civil war. The research question is: What interests drive the external forces (Saudi Arabia and Iran) in the Yemeni conflict? The research hypothesis is that, like Saudi Arabia, Iran also wants to lead in the Yemeni region and seek regional hegemony due to its geopolitical importance.

The following theories are used to support the hypothesis: John Mersheimer's offensive realism, Kenet waltz's defensive realism, and Hans Morgenthau's political realism and the Balance of Power theory. According to these theories, any international power in the international system seeks to maximize hegemony at the regional or global level.

From a methodological point of view, a qualitative research method is used to provide the information from various types of sources, such as: scientific literature, media and the analysis of historical processes. The aim of this research is to identify the interests of Iran and Saudi Arabia in relation to the Yemeni conflict and the impact of their confrontation on the geopolitical the economic situation in the region.

The study of the Iran-Saudi Arabia confrontation is particularly valuable from a scientific point of view, as it is the major factor in the existence of an imbalance of forces in the Middle East and a serious challenge to the security of the region.

Keywords: Yemen, Saudi Arabia, Iran, Yemeni crisis, civil war, striving for regional hegemony, geopolitical significance.

მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ბატონ გიორგი სანიკიძეს, რადგანაც ამჟამინდელი გლობალური პანდემიის რთული ვითარებიდან გამომდინარე, მის მიერ გაწეული მხარდაჭერა, მოწოდებული რესურსები, რაც მჭირდებოდა სწორი მიმართულების ასარჩევად და პროფესიონალიზმი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ ლექტოროს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემი ცოდნის გაღრმავებასა და განვითარებაში.